ПРОЛЕТАРЕБО УВЕЛА ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 35 (12851)

სამშაბათი, 11 თებერვალი, 1964 წ.

ფასი 2 კაპ.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის დელეგაციას

8 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი კრემლში შეხვდა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის დელეგაციას, რომელსაც ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ლე ზუანი მეთაურობს.

შეხვედრაზე ამხანაგ ლე ზუანთან ერთად იყვნენ დელეგაციის წევრები: ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლე დიკ თხო, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ხოანგ ვან ხოანი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ტო ხიუ, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ნგუენ ვან კინი.

შეხვედრის დროს, რომელმაც ამხანაგური გულახდილობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები. ორივე მხარემ გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა კიდევ უფრო განმტკიცდეს სოციალისტური ბანაკისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა, განმტკიცდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის, საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე. ორივე პარტია თავის პოლიტიკას საფუძვლად უდებს კომუნისტური და მუშათა პარტიების დეკლარაციებისა და განცხადებების დებულებებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. ვ. ანდროპოვი, ლ. თ. ილიჩოვი, ბ. ნ. პონომარიოვი და სსრ კავშირის ელჩი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ს. ა. თოვმასიანი.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1964 წლის 10 თებერვალს კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგშია საკითხი — „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია სასუქების ფართოდ გამოყენების, მორწყვის განვითარების, კომპლექსური მექანიზაციისა და მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების უსწრაფესად გადიდებისათვის“.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. ი. პ. ვოლოვჩენკომ.

შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა სრულიად ხაკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის ამხ. ა. ა. ეფიმოვის თანამოხსენება.

საღამოს სხდომაზე თანამოხსენებები გააკეთეს სსრ კავშირის სარწყავი მიწათმოქმედებისა და წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ე. ე. ალექსეევსკიმ, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. ლ. ი. მაქსიმოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოისმენს აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მინისტრების ან სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრების თანამოხსენებებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობისათვის მოწვეული არიან მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მეორე მდივნები, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები, რომლებიც არ შედიან ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნები — სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროთა თავმჯდომარეები, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნები, რომლებიც სოფლის მეურნეობის საკითხებს განაგებენ, მოკავშირე რესპუბლიკების პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტების თავმჯდომარეები, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების სოფლის მეურნეობის განყოფილებათა გამგეები, პარტიის საოკრუგო კომიტეტების პირველი მდივნები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტების მდივნები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა უფროსები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეთა მოადგილეები სოფლის მეურნეობის დარგში, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები, მოკავშირე რესპუბლიკების მშენებლობის მინისტრები და მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, მოკავშირე რესპუბლიკების კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის მინისტრები, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების, წყალთა მეურნეობის მინისტრები, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების და წყალთა მეურნეობის სამხარეო და საოლქო სამმართველოთა უფროსები, მსხვილი საირიგაციო-სამელიორაციო სამშენებლო ობიექტების ხელმძღვანელები, საწარმოთა დირექტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროების უფროსები, მანქანათსაცდელი სადგურების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებისა და საცდელი სადგურების სპეციალისტები, ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სოფლის მეურნეობის მოწინავენი, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტორგანიზაციათა მდივნები, სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე მეცნიერები, დიდ სამეცნიერო-საკვლევ სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათა დირექტორები, „სოფლტექნიკის“ რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო გაერთიანებათა თავმჯდომარეები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები, კომიტეტების თავმჯდომარეები, ცენტრალურ ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და უწყებათა ხელმძღვანელები, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის, ქიმიური მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის, ავტოსატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის, დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სარწყავი მიწათმოქმედებისა და წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის, „საკსოფლტექნიკის“ სამმართველოთა ხელმძღვანელი მუშაკები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პარტიულ-პოლიტიკური მუშაკები, ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოების და სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

ვიეტნამის მშრომელთა პარტიის დელეგაციის პატივსაცემად

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 8 თებერვალს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის დელეგაციის პატივსაცემად.

სადილად დელეგაციის მეთაურთან — ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან ლე ზუანთან ერთად იყვნენ დელეგაციის წევრები — ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლე დიკ თხო, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ხოანგ ვან ხოანი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ტო ხიუ, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ნგუენ ვან კინი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. ნ. ეფრემოვი, შ. რ. რაშიდოვი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი, ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ნ. ნ. მესიაცევი, სსრ კავშირის ელჩი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ს. ა. თოვმასიანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

სადილის დროს ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლე ზუანმა მეგობრული სადღეგრძელოებით მიმართეს ერთმანეთს.

სადილმა გულითად და გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

მეგობრობის მიტინგი

მოსკოვი, 10 თებერვალი. (საკდესი). „მეგობრობა! მეგობრობა!“ — მოსკოვის ს. მ. კიროვის სახელობის პირველი საათის ქარხნის მუშები, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის დელეგაციის წევრებს მიესალმნენ ამ სიტყვებით, რომლებიც მოვალჯერ გაიმეორეს ტაშის გრიალში. კოლექტივს სტუმრად ეწვივნენ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლე დიკ თხო, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ტო ხიუ, აგრეთვე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ნგუენ ვან კინი.

ერთ-ერთ საამქროში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის ხალხმრავალი მიტინგი. ქარხნის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების სახელით ვიეტნამელ მეგობრებს მიესალმნენ საამქროს უფროსი ბ. მ. პოლიანინი, კომუნისტური შრომის დამკვრელი, ამწყობი მ. მ. კუბიშკინა.

შემდეგ შეკრებილთ სიტყვით მიმართა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა და ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ლე დიკ თხომ. მან რწმენა გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის მეგობრობა და შეკავშირება განმტკიცდება. ლე დიკ თხომ ხაზი გაუსვა, რომ მოლაპარაკება ვიეტნამის მშრომელთა პარტიის დელეგაციასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებს შორის მიმდინარეობდა ამხანაგობის, მეგობრობისა და გულადილობის ვითარებაში, ერთობის წელისკეთებით. დელეგაციის წევრებისა და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის სახელით მან მხურვალე სალამი გადასცა საბჭოთა ადამიანებს, ილაპარაკა იმ გულწრფელ მეგობრობაზე, რომლითაც გამსჭვალულია ვიეტნამელი ხალხი საბჭოთა ადამიანებისადმი. მიტინგზე გამოვიდა აგრეთვე ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ტო ხიუ. მან განაცხადა, რომ ვიეტნამელი ხალხი, ისევე როგორც საბჭოთა ადამიანები, თვალის ჩინივით უფრთხილდება ერთობას, მეგობრობასა და შეკავშირებას ვიეტნამსა და საბჭოთა კავშირს შორის.

ნ. ს. ხრუშჩოვის მისალოცი დეპეშა ბ-ნ ჰ. მაკმილანისადმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნა ბ-ნ ჰაროლდ მაკმილანს მისი დაბადების 70 წლისთავის გამო.

ნ. ს. ხრუშჩოვი წერს: ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენმა საუბრებმა და შეხვედრებმა, სადაც განვიხილავდით საკითხებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ჩვენს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობისათვის, ასევე საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის.

საბჭოთა მთავრობის მეთაური გულითადად ულოცავს ბ-ნ ჰაროლდ მაკმილანს და უსურვებს ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს. (საკდესი).

დიდი ინტერესი

პრაღა, 10 თებერვალი. (საკდესი). სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობა და პრესა დიდ ინტერესს იჩენენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისადმი, ხაზს უსვამენ, რომ პლენუმის მუშაობას, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყველა ფორუმის მუშაობას, უეჭველია, უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ექნება.

ნიუ-იორკი, 10 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის სინფორმაციო საგაზეთოები იუწყებიან, რომ მუშაობა დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. ცნობებში მოჰყავთ ციტატები გაზეთ „პრავდიდან“ და ჟურნალ „კომუნისტიდან“ იმის შესახებ, თუ როგორია საბჭოთა ხალხის ამოცანები სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგაზეთო მოსკოველი კორესპონდენტი ხაზს უსვამს, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გასული წლის დეკემბერში მიიღო „ქიმიზაციის, ირიგაციისა და მექანიზაციის დიდი პროგრამა“. ეს პროგრამა, წერს კორესპონდენტი, ითვალისწინებს, რომ 7 წლის განმავლობაში ქიმიურ მრეწველობას მოხმარდეს 42 მილიარდი მანეთი, და გადიდდეს სასუქების, ჰერბიციდებისა და პესტიციდების წარმოება სოფლის მეურნეობისათვის.

გრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენები და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. **თავდგირიძეს** ხავა უსუფის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ჩაქვის რაიონის სოფელი ხელვაჩაური.

2. **ცეცხლაძეს** შემსიმე ჰასანის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ჩაქვის რაიონის სოფელი ბობოყვათი.

3. **ფატმას** ასკარ ყზის — ყვაილის რაიონის კომბინატორის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

4. **ემეკსუზიანს** ვართუშ ხაჩიკის ასულს — დიასახლისს, აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის სოფელი ცაგეწყარო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1964 წლის 6 თებერვალი

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

კრასნოდარის მხარის კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშაკების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობისა და მშენებლობის მუშაკების სოციალისტურ ვალდებულებათა შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ კრასნოდარის მხარის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გასული წელს წარმატებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი სახელმწიფოსადმი მარცვლის მიყიდვის შესახებ. ყუბანის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სამშობლოს მისცეს 202 მილიონი ფუთი პური.

უპასუხებენ რა პრაქტიკული საქმეებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადწყვეტილებებს, ყუბანის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ამჟამად შეიმუშავეს და ამორციელებენ სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის, მიწის სწორად გამოყენების ფართო პროგრამას, მტკიცედ ნერგავენ წარმოებაში მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას. მათ იკისრეს, რომ 1964 წელს გაადიდებენ მარცვლის წარმოებას და სახელმწიფოს მიჰყიდიან 230-250 მილიონ ფუთ პურს, აგრეთვე გაადიდებენ სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის, მზესუმზრაჟის, ბოსტნეულის, ყურძნისა და ხილის მიყიდვას. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაწყვიტეს გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და 1964 წელს სახელმწიფოს მიჰყიდეს 317 ათასი ტონა ხორცი, 770 ათასი ტონა რძე, 406 მილიონი ცალი კვერცხი და 4.770 ტონა მატყლი.

დიდი ვალდებულებანი იკისრეს მხარის კვების მრეწველობის მუშაკებმა და სოფლის მშენებლებმა.

ყუბანის კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის და მშენებლობის მუშაკებმა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს მოუწოდეს ჩაებან სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მარცვლის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის. ამ პატრიოტულ თბილნობას დიდი მნიშვნელობა აქვს და მას მთელმა ხალხმა უნდა დაუჭიროს მხარი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი იწონებს კრასნოდარის მხარის სოფლის მეურნეობის მშრომელთა, კვების მრეწველობისა და სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკთა ინიციატივას, რომელმაც 1964 წლისათვის იკისრეს ვალდებულებანი, რომ გაადიდებენ სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვას, ვადამდე შეასრულებენ სახელმწიფო გეგმებს, და მოუწოდეს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მშრომელებს, გაჭალონ საყოველთაო სახალხო შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის.

კრასნოდარის მხარის კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშაკების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობისა და მშენებლობის მუშაკების სოციალისტური ვალდებულებათა შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სკკპ სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, საწარმოო სამმართველოთა პარტკომებს, პარტიულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, მეურნეობათა ხელმძღვანელებს ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი ყუბანის მშრომელთა ინიციატივას და თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებში გამაღონ სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის, 1964 წლის საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ფართოდ გააშუქონ სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობა პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით, ასახონ, თუ რგორ ვითარდება სოფლად პატრიოტული მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის, რომელიც მასობრივი შრომითი გმირობის სკოლა გახდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ყველა მშრომელი მხურვალედ დაუჭერენ მხარს ყუბანელთა თაოსნობას, გააჩაღებენ ბრძოლას თითოეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის რეზერვებისა და შესაძლებლობების სრულად გამოყენებისათვის, სოფლის მეურნეობის უფრო ინტენსიურად წარმოებისათვის, სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის შემდგომი გადიდებისათვის და ამით ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლაში.

კრასნოდარის მხარის კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშაკების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობისა და მშენებლობის მუშაკების

სოციალისტური ვალდებულებანი

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ასოულებს კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზულ გეგმებს, რომლებიც სკკპ XXII ყრილობამ შეიმუშავა. დიდი აღმავლობის გზას იდგას სოციალისტური მრეწველობა, განუხრელად ვითარდება სოფლის მეურნეობა.

ყუბანის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, თავდადებით შრომობენ და თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. მხარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1963 წელს სახელმწიფოს მიჰყიდეს 202 მილიონი ფუთი მარცვალი — ერთიორად მეტი, ვიდრე 1953 წელს, და 52 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ამას გარდა, გასული წელს სახელმწიფოს მიეყიდა შაქრის ჭარხალი 3328 ათასი ტონა, მზესუმზირა — 381,1 ათასი ტონა, ბოსტნეული — 297,2 ათასი ტონა, ხილი — 119 ათასი ტონა, ყურძენი — 239,2 ათასი ტონა, ხორცი — 257,6 ათასი ტონა, რძე — 656,4 ათასი ტონა. ეს პროდუქტები სახელმწიფოს მიეყიდა მეტი, ვიდრე 1962 წელს.

მხარის კვების მრეწველობამ წარმატებით შეასრულა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების გეგმა და გეგმის გადაძეტებით გამოუშვა 52 მილიონი მანეთის პროდუქცია. საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებმა 40 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო ტვირთბიდვის დავალებანი.

ეს წარმატებანი ასეულ ათასობით მუშის, კოლმეურნის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სპეციალისტთა დაძაბული შრომის შედეგია, პარტიული ორგანიზაციების, საწარმოო სამმართველოების, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდი მუშაობის შედეგია.

მაგრამ მიღწეული შედეგებით როდი ამოიწურება მხარის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმდიდრესი რეზერვები და შესაძლებლობანი. ამ რეზერვების გამოყენების გზა დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში, რომელმაც შეიმუშავა მთელი სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის პროგრამა. პარტიამ მოუწოდა სოფლის მშრომელებს ინტენსიურად წარმართონ სოფლის მეურნეობა, უკეთ გამოიყენონ თითეული ჰექტარი მიწა, ფართოდ დანერგონ წარმოებაში მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება, აუცილებლად გამოიყენონ მინერალური და ადგილობრივი სასუქები, ყოველი ღონისძიებით

(დასასრული მე-3 გვერდზე)



ქიმია სულ უფრო მძლავრად იჭრება ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში. მოსკოვის სასუქებისა და ინსოკტიციდების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიაში მიიღეს ახალი მინერალური სასუქი — კალიუმის პოლიმეტაფოსფატი, რომელიც გამოირჩევა საკვებ ნივთიერებათა მაღალი კონცენტრაციით. მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ მეცნიერ მუშაკებს ე. გ. პოლიეკტოვასა (მარცხნივ) და ა. ს. ჩერეპანოვას, რომლებიც მიღებული სასუქის ანალიზს აკეთებენ; არა მარტო სსრ კავშირში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც ფართოდ არის ცნობილი ყუბანელი სელექციონერის აკადემიკოს პავლე პანტელეიმონის-ძე ლუკიანენკოს (მარჯვენა სურათზე მარჯვნივ) სახელი. მისი ხელმძღვანელობით ყუბანის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივი მუშაობს საშემოდგომო ბორბლის ახალი ჯიშის შექმნაზე.

უკანასკნელ საათს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია სასუქების ფართოდ გამოყენების, მორწყვის, განვითარების, კომპლექსური მექანიზაციისა და მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების უსწრაფესად გაზრდისათვის

სსრკ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხანაგ ი. პ. ვოლოვჩენკოს მოხსენება

ამხანაგებო! ჩვენ უნდა განვიხილოთ საკითხი, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხალხისათვის.

სულ ორი თვე გავიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შემდეგ. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება და საბოლოო სიტყვა პლენუმზე, მიღებული გადაწყვეტილებანი ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების შესახებ, მინერალური სასუქების წარმოების მკვეთრად გადიდების შესახებ ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა ადამიანებმა, მათ დიდი პატრიოტული აღმავლობა გამოიწვიეს. ახალი ფართო ჰორიზონტები გადაიშალა სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, ჩვენი ქვეყნის მთელი საწარმოო ძალების აყვავებისათვის.

როგორც ცნობილია, დღემდე ჩვენი სოფლის მეურნეობა უმთავრესად ნათესი ფართობების გადიდების გზით ვითარდებოდა. აღმოსავლეთ რაიონებში ჩვენ 40 მილიონ ჰექტარზე მეტი უამური და ნასვენი მიწა ავითვისეთ და ცხრა წლის განმავლობაში ამ ფართობზე 8 მილიარდ 200 მილიონი ფუთი იაფი სასაქონლო პური მივიღეთ.

ახლა რეალური პირობები შეიქმნა იმისათვის, რომ განვავითაროთ სოფლის მეურნეობა მიწის ნაყოფიერების გადიდების გზით, მთავარი ძალღონე მოვახმაროთ მიწათმოქმედების პროდუქტიულობის გადიდებას და მეცხოველეობის დაჩქარებულ აღმავლობას.

1963 წლის სექტემბერში ჩრდილოეთ კავკასიის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ სოფლის მეურნეობის ინტენსიურად წარმოება ნიშნავს:

— ჯერ ერთი, მეტი პროდუქცია მივიღოთ თვითეულ ჰექტარ მიწაზე. თუ ლაპარაკია მარცვალზე, მეტი მოსავალი მივიღოთ თვითეულ ჰექტარ სახნავზე. თუ საქმე მეცხოველეობას შეეხება, მეტი ხორცი და რძე გაწარმოოთ ამ ჰექტარ სავარგულზე;

— მეორე, მექანიზაცის საფუძველზე გავდიდოთ შრომის ნაყოფიერება, შეამციროთ პროდუქციის თვითღირებულება, მეტი მარცვალი, ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები მივიღოთ შრომისა და სახსრების ნაკლები დანახარჯით.

თანამიმდევრული ინტენსიფიკაციის განხორციელება ახალი, უფრო მაღალი ეტაპია სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში. მაგრამ მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანს შეიძლება ეგონოს, რომ მინერალური სასუქები და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები თვითონ მოაგდებენ სასწაულს. ჩვენი ათასობით მოწინავე კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის წარმატების საფუძველი ის არის, რომ ამ მეურნეობებში მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები უნარიანი ადამიანების ხელშია. ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენზე, ჩვენს ცოდნაზე, გამოცდილებაზე, იმაზე, თუ რა ბეჯითად ვიბრძოლეთ დასახული მიზნის მისაღწევად. ახალ პირობებში უნდა უკეთესად ვიცოდეთ ბევრი მოძველებული წარმოდგენა, უფრო ღრმად ჩავწვდეთ წარმოების ორგანიზაციის ყველა მხარეს.

ქიმიზაცია სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდების უტყუარი გზაა

ამხ. ვოლოვჩენკომ თქვა: ყველას გვახარებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ მინერალური სასუქების წარმოება 70-80 მილიონ ტონამდე გადიდდეს 1970 წელს. მაგრამ კარგად უნდა შევიგნოთ, რომ ქიმიზაცია ჯერჯერობით ეფექტს მოგვცემს მხოლოდ მაშინ, თუ მასთან ერთად ავამაღლებთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთელ კულტურას.

საჭიროა ისე მოვაწყოთ საქმე, რომ ყველა რაიონსა და მეურნეობაში უზრუნველყოფილი იყოს მინერალური სასუქების, ჰერბიციდებისა და სხვა ქიმიური საშუალებების უაღრესად რაციონალური გამოყენება, ისე იგი, რომ განხორციელებული ქიმიზაციის პრაქტიკული შედეგი იყოს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის მაქსიმალური ზრდა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხელმძღვანელმა კადრებმა ადგილებზე, მეცნიერმა მუშაკებმა და სპეციალისტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ შემდეგ საკითხებს:

უაღრესად კეთილსინდისიერად შეისწავლონ მინერალური სასუქებისა და სხვა ქიმიური საშუალებების გამოყენების საუკეთესო გამოცდილება ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის სოფლის მეურნეობაში.

სწორად გაანაწილონ მინერალური სასუქები ზონების, ოლქების, საწარმოო საამართველოებისა და მეურნეობების მიხედვით და ამასთან თვითეულ ცალკეულ შემთხვევაში გაითვალისწინონ რეალური შესაძლებლობანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის უსწრაფესი გადიდებისათვის;

მასობრივად შეასწავლონ კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისა კადრებს პროგრესული მეთოდები მინერალური სასუქების, ჰერბიციდებისა და სხვა ქიმიურ საშუალებათა გამოყენებისა მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში.

ამხ. ვოლოვჩენკო ამბობს, რომ ჯიშთაგმოსაცდელ ნაკვეთებს, რომლებიც სხვა აგროტექნიკურ ხერხებთან ერთად იყენებენ მინერალურ და ორგანულ სასუქებს, როგორც წესი, მოჰყავთ ერთნახევარჯერ-ორჯერ მეტი მარცვალი, ვიდრე საერთოდ რაიონსა და ოლქში. მას მოჰყავს მონაცემები ზოგიერთი ოლქის შესახებ და აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელი ხუთი წლის განძილზე მარცვლეული კულტურების მოსავალა ჯიშთაგმოსაცდელ ნაკვეთებზე შეადგინა ჰექტარზე 19.4 ცენტნერი. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დიდ უმრავლესობას რომ უზრუნველეყო ასეთივე მოსავალი, რაც სავსებით რეალური საქმეა, მაშინ ჩვენს ქვეყანაში 14-16 მილიარდი ფუთი მარცვლეულის წარმოების ამოცანა გადაჭრილი იქნებოდა. მაგრამ მეურნეობათა მნიშვნელოვან ნაწილს ახლა გაცილებით ნაკლები მარცვლეული მოჰყავს, ჩვენი ამოცანაა იმდენად არა ის, რომ ვიმტკიცოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქიმიას, რამდენადაც ის, რომ ვისწავლოთ ქიმიის პროდუქტების სწორად გამოყენება სოფლის მეურნეობაში.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეისწავლა, თუ როგორ იყენებენ სასუქებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, აგრეთვე ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჰოლანდიასა და სხვა ქვეყნებში, განაგრძობს მომხსენებელი, და მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ შეიქმნას ჩვენს ქვეყანაში ერთიანი სახელმწიფო აგროქიმიური სამსახური შემდეგი სახით:

1. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეიქმნება ქიმიზაციის მთავარი სამმართველო, რომელსაც დაეკისრება გაუწიოს სამეცნიერო-მეთოდური ხელმძღვანელობა კვლევითს მუშაობას ამ დარგში, შემუშაოს რეკომენდაციები სასუქებისა და სხვა ქიმიური საშუალებების განაწილებისა და ეფექტური გამოყენების შესახებ ბუნებრივ-ეკონომიური ზონების მიხედვით, გაუწიოს მეთოდური ხელმძღვანელობა ყველა აგროქიმიურ ლაბორატორიას, დაუწესოს კონტროლი ანალიზურ სამუშაოთა ხარისხისადმი, ნიადაგის, სასუქების, მცენარეთა და საკვების ანალიზის ყველაზე თანამედროვე მეთოდების დანერგვისადმი.

2. ორი წლის განმავლობაში შეიქმნას ზონალური დიდი წარმადობის აგროქიმიური ლაბორატორიები, საოლქო (სამხარეო, რესპუბლიკურ) სოფლის მეურნეობის საცდელ სადგურებთან ან ზონალურ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — უმაღლეს სასწავლებლებთან იმ ეარაუდით, რომ თვითეული ლაბორატორია მოემსახუროს ოლქს, მხარის, ავტონომიური რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას.

ნავარაუდევია, რომ აგროქიმიურმა ლაბორატორიებმა აწარმოონ ნიადაგების, სასუქების, საკვების, მასობრივი ანალიზი, შეადგინონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწების აგროქიმიური კარტოგრამები და სამეცნიერო დაწესებულებებთან და მეურნეობათა სპეციალისტებთან ერთად შეიმუშაონ ქიმიური პროდუქტების რაც შეიძლება რაციონალურად გამოყენების შესახებ რეკომენდაციები სოფლის მეურნეობაში.

სულ დასახულია ვიქონიოთ დაახლოებით 200 აგროქიმიური ლაბორატორია, რომელთა წარმადობა საშუალოდ დღეში იქნება 1.000 ანალიზი. ეს თვითეულ ლაბორატორიას საშუალებას მისცემს ყოველწლიურად გამოიკვლიოს 300-350 ათასი ჰექტარი გაპატიჟებული ფართობი.

ამხ. ვოლოვჩენკო აღნიშნავს, რომ ჩვენში მინერალური სასუქების უმეტეს ნაწილს დღეგანდლამდე ტექნიკურ კულტურებს ვახმარდით. ახლა მდგომარეობა იცვლება. უკვე მიმდინარე წელს დასახულია მარცვლეული კულტურებისათვის გამოვიყენოთ 10 მილიონ ტონამდე სასუქი, ხოლო 1970 წლისათვის — 30-35 მილიონი ტონა.

როგორ მივუდგეთ უკეთ მინერალური სასუქების გამოყენების დარაიონებას? სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე სავსებით სწორად აღინიშნა, რომ მარცვლის საერთო მოსავლის უსწრაფესად გადიდებისათვის უახლოეს პერიოდში საჭიროა უპირატესობა მივანიჭოთ ჩრდილოეთ კავკასიის, ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქების დატენიანებულ რაიონებს, უკრაინის ტყეიანისა და ჭაობიანი ტყის რაიონებს, სადაც განსაკუთრებით ხელშემწყობი პირობებია სასუქების ეფექტიანი გამოყენებისათვის. საჭიროა აგრეთვე მინერალური სასუქებით (საშუალოდ 3-4 ცენტნერი ჰექტარზე) უზრუნველყოთ მარცვლეული კულტურების ნათესები არაშავნიადაგიანი ზოლის რაიონებში, აგრეთვე სასუქთა სრული ნორმით უზრუნველყოთ მარცვლეული კულტურების მთელი ნათესები სარწყავ მიწებზე. იმ ზონებში, სადაც საკმარისი არ არის ტენიანობა, მათ შორის უამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონების მეტ ნაწილში, მარცვლეული კულტურებიც გაპატრვება უახლოეს რამდენიმე წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს უმთავრესად სუპერფოსფატის მცირე დოზებით მწკრივული შეტანით თესვის დროს.

მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მინერალური სასუქების გამოყენების მკვეთრ გადიდებასთან დაკავშირებით ახლებურად ისახება ნიადაგთა მეცნიერების ლიკვიდაციის ამოცანა. გაკირიანება მოითხოვს დიდ დანახარჯებს, მაგრამ ეს ხარჯები სწრაფად ანაზღაურდება. სერიოზული ყურადღების ღირსია სუსტბაციობიანი ნიადაგების გათაბაშირებანები, აგრეთვე ორგანული სასუქების გამოყენება.

სწორად გამოვიყენოთ მიწის სავარგულები

საბჭოთა კავშირში, ამბობს ამხ. ვოლოვჩენკო, თვითეულ მცხოვრებზე მოდის ორ ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, აქედან ერთი ჰექტარი სახნავი. ეს დიდი სიმდიდრეა. თუ მას სწორად გამოვიყენებთ, საკმარისად გვექნება პური, ხორცი, რძე, შაქარი, კარტოფილი, ბოსტნეული და სხვა პროდუქტები.

მუშაკთა ერთ ნაწილს ისეთი წარმოდგენა აქვს, რომ ჩვენი მიწის რესურსები უსაზღვროა. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ჩვენი ქვეყანის მიწის სიმდიდრე დიდია, მაგრამ უსაზღვრო არ არის. საქმე მარტო ეს როდია. თავისი ბუნებით სოციალისტურ საზოგადოებას, როგორც აკვანს მოწინავეს, შეუძლია გამოიყენოს და კიდეც უნდა გამოიყენოს მიწა უკეთ, ვიდრე რომელიმე კაპიტალისტური ქვეყანამ.

ამხ. ვოლოვჩენკო აცხადებს, რომ ყოველწლიურად დაახლოებით 1 მილიონ 200 ათას ჰექტარ სახნავს ასვენებენ, დიდი ფართობები განიცდის ეროზიას, ბუჩქნარით იფარება, ჭაობდება, გამოდის სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან. არსებითად არაკენ არ აგებს პასუხს ასეთი შეუფასებელი მდგომარეობისათვის. მიწის სიმდიდრეთა შენარჩუნებისადმი უღარდელი დამოკიდებულება გამოხატულებას პოულობს ბევრი სხვა ფაქტიც. ყოველწლიურად 500 ათასამდე ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა, მათ შორის 200 ათას ჰექტარზე მეტი სახნავი გამოიყოფა მშენებლობისათვის და სხვა მიზნებით, უნდა მივიღოთ საეჭვო ნაკვეთები, ეს ეხება ეროზიულ ადგილებს, ბუჩქნარ-ბალახეულ ადგილებს, ჭაობებს, ტორფიანებს, ალაგებს, ბალახეულ ადგილებს, ბუჩქნარ-ბალახეულ ადგილებს, ტყე

ყუბანელ მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი

(დასასრული)

განავითარონ სარწყავი მიწათმოქმედება.

ებმებიან რა საყოველთაო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რათა კიდევ უფრო გაადიდონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა, კრასნოდარის მხარის კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელის გადამწყვეტელი მრეწველობისა და მშენებლობის მუშაკები კისრულობენ შემდეგ ვალდებულებებს

მიწათმოქმედებაში: მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების, სასუქების გამოყენების, წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვის საფუძველზე გაადიდონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და 1964 წელს საშემოდგომო ხორბლის ნათესის თითოეულ ჰექტარზე მიიღონ სულ ცოტა 30 ცენტნერი მარცვალი, საწარმოო ნათესებში მოიყვანონ სიმინდი — 40 ცენტნერი და ბრინჯი —45 ცენტნერი, მზესუმზირას თესლი — 18-20 ცენტნერი, შაქრის ჭარხალი — 260 ცენტნერი, ბოსტნეული — 110-120 ცენტნერი, ხოლო სარწყავ ნაკვეთებში — სულ ცოტა 250 ცენტნერი. მოიყვანონ აგრეთვე საკვები კულტურების, ყურძნის, ხილის, ბამბასათესის, თამბაქოს, სელის, ეთერზეთოვანთა, ჩაის ფოთლისა და სხვა კულტურების უხვი მოსავალი.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სიტყვაში ჩრდილოეთ კავკასიის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე, აგრეთვე მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე მიუთითა ყუბანელებს, რომ მათ საშემოდგომო ხორბლის, სიმინდისა და ბრინჯის მოსავლიანობის , გადიდების დიდი შესაძლებლობანი აქვთ და დაუსახა ამოცანა უახლოეს წლებში მოიყვანონ მარცვლის მოსავალი 45-50 ცენტნერი საშუალოდ ჰექტარზე და ყოველწლიურად მიაყრდონ სახელმწიფოს 400-450 მილიონი ფუთი პური.

ასრულებენ რა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ამ მითითებებს, მხარის სოფლის მეურნეობის მშრომელები უკვე 1964 წელს გაადიდებენ მარცვლის წარმოებას 400-430 მილიონ ფუთამდე და სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვას 230-250 მილიონ ფუთამდე. უახლოეს წლებში მარცვლის ფართობი მოსავალი გადიდდება 650-700 მილიონამდე, ხოლო შემდეგ ერთ მილიარდ ფუთამდე და სახელმწიფო შესყიდვა 400-500 მილიონ ფუთამდე წელიწადში.

მხარის ბევრი საწარმოო სამმართველო კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაწყვიტეს იბრძოლონ იმისათვის, რომ მიმდინარე წელს მოიყვანონ უფრო უხვი მოსავალი. ესტ-ლაბინსკის საწარმოო სამმართველოს მეურნეობებში დასახულია მარცვლეული კულტურების მოსავალი მოიყვანონ საშუალოდ 39 ცენტნერი, ხოლო საშემოდგომო ხორბლისა — 40 ცენტნერი ჰექტარზე; ნოვოკუბანსკის საწარმოო სამმართველოს მეურნეობებში—38 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი ჰექტარზე. ტიმაშევსკაის საწარმოო სამმართველოს მხვლეულ-მთესველებმა ვალდებულება იკისრეს მოიყვანონ მარცვლის მოსავალი 37 ცენტნერი, კავკასკისა — 36,5 ცენტნერი, დინსკაისა და ლაბინსკისა — 35 ცენტნერი საშუალოდ ჰექტარზე.

1964 წელს მნიშვნელოვნად გაიზრდება არა მარტო მარცვლის, • არამედ მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოება და დამზადებაც. სახელმწიფოს მიეყიდება შაქრის ჭარხალი — 6.300-6.500 ათასი ტონა, მზესუმზირა— 430 ათასი ტონა, ბოსტნეული 355 ათასი ტონა, ყურძენი — 240 ათასი ტონა, ხილი — 125 ათასი ტონა და ბევრი სხვა პროდუქცია.

მარცვლის წარმოების გადიდების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ მხარეში საშემოდგომო პურეულს და უწინარეს ყოვლისა საშემოდგომო ხორბალს. უხვმოსავლიანი ჯიშის საშემოდგომო ხორბლისა „უფრო-1", რომელიც გამოიყვანა სოციალისტური შრომის გმირმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა, აკადემიკოსმა პ. პ. ლუკიანენკომ, საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. ყუბანი ამ გოლიათი ხორბლის სამშობლო — მისი მოსავლიანობით სანიმუშო იქნება ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონისათვის.

ნიადაგში ტენის ნაკლებობის გამო 1963 წლის შემოდგომაზე საშემოდგომო პურეულებში ზამთარს განუვითარებელი შეხვდნენ და დამატებით მოვლას საჭიროებენ. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს უხვი მოსავლის მიღება, აღრე გაზაფხულზე, ხოლო შემდეგ ათავთავების პერიოდში, მოეწყობა საშემოდგომო ხორბლის დამატებითი კვება მთელ ნათესში. სულ, თუ გავიანგარიშებთ სასუქების შეტანას შემოდგომაზე, თითოეული ჰექტარი ხორბალი მიიღებს 2,5—3,0 ცენტნერ მინერალურ სასუქს.

ყუბანის მხვეულ-მთესველებმა დაისახეს ამოცანა საშემოდგომო ხორბალი, ქერი, სიმინდი, ბრინჯი, შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა და სხვა კულტურები, დათესონ ძხოლოდ უხვმოსავლიანი დარაიონებული ჯიშებისა და პირველი და მეორე რეპროდუქციის ჰიბრიდების თესლით. ყუბანის ძესიმინდეები 1964 წელს სიმინდს მოიყვანენ ახალი ტექნოლოგიით მთელ ნათესში.

მხარის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში იქმნება სარწყავი ნაკვეთები, სადაც მოიყვანენ 80-100 ცენტნერ სიმინდის ხმელ მარცვალს და 600-700 ცენტნერ შწვანე მასას ჰექტარზე.

1964 წელს ბრინჯის ფართობი მხარეში გადიდდება 43 ათას ჰექტარამდე და მნიშვნელოვნად გაიზრდება ამ კულტურის მარცვლის მთლიანი მოსავალი და დამზადება.

მხარის სოფლის მეურნეობის მშრომელების წინაშე დასახულია შაქრის ჭარხლის წარმოების გაფართოების ამოცანები. მოწინავე მეურნეობების, ბრიგადებისა და რგოლების გამოცდილების ფართო გამოყენებით, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი მინერალური სასუქების გონივრული ხარჯვით მხარის მეჭარხლეები 1964 წელს გაადიდებენ შაქრის ჭარხლის მოსავალს, მკვეთრად გაზრდიან მის მთლიან მოსავალს და სავსებით უზრუნველყოფენ ნედლეულით შაქრის ქარხნებს. შაქრის ჭარხალი დათესება კარგად მომზადებულ ნიადაგში, საუკეთესო ვადებში, თესვასთან ერთად იწარმოებს მიხეკალური სასუქების შეტანა. მოსავლის აღების დაწყებისათვის ნარკვევის სიხშირე იქნება 80-85 ათასი მეეზარე სა-შუალოდ ჰექტარზე. შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანა ვ. ა. სვეტლიჩნის რგოლის გამოცდილებით იწარმოებს ნათესის საერთო ფართობის 70-80 პროცენტზე. ყუბანის სიმაღალე უხვზეთოვანი და უხვმოსავლიანი ჯიშების მზესუმზირა, რომლებიც გამოიყვანა თვალსაჩინო მეცნიერმა, ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა, აკადემიკოსმა ვ. ს. პუსტოვოიტმა. მიწდგრის მშრომელები მტკიცედ დაიცავენ მეთესლეობის, ჯიშთგახალისების მეთოდიკას, რომელიც მან შეიმუშავა, და ამ კულტურის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკას და დროზე მოამზადებენ თესლს, საუკეთესო ვადებში და კარგი ხარისხით დაამუშავებენ თესლს, მოუვლიან ნათესებსა და აიღებენ ამ ძვირფასი კულტურის მოსავალს.

მეცხოველეობაში. მოწინავე მეურნეობათა და წარმოების ნოვატორთა გამოცდილების შესწავლისა და ფართოდ დანერგვის საფუძველზე 1964 წელს ხორცის წარმოების მხარეში გადიდებენ 66 ცენტნერამდე. აქედან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — 47 ცენტნერამდე ეს ჰექტარ სახნავზე. სახელმწიფოს მიჰყიდიან 317 ათას ტონა ხორცს, 770 ათას ტონა რძეს, 406 მილიონ ცალ კვერცხსა და 4.770 ტონა მატყლს.

მთავარი ყურადღება ძიერეცვა სასილოსე სიმინდის, სამემოდგომო და საგაზაფხულო ქერის, სორგოს, მოზამთრე ბარდის, ცერცველისა და სხვა სამარცვლე პარკოსნების, შაქრისა და საკვები ჭარხლის მოყვანას. აგრეთვე საკვები კულტურების განმეორებით დათესვის ფართოდ დანერგვას.

1964 წელს დასახულია ჩიდოს სულ ცოტა 8 მილიონ ტონა სილოსი, ანუ 15-20 ტონნ თითოეულ ძროხაზე. ყველა ფერმაში მოეწყობა ჰიდროპოხური წესით მწვანე საკვების მოყვანის საამქროები. ხორცეულდება ღონისძიებანი იმისათვის, რომ თითოეული საკვები ერთეული მეურნეობაში იყოს აღრიცხული და იხარჯებოდეს ყველაზე რაციონალურად, პირუტყვს საკვებს აკმეევენ მხოლოდ მომზადებულს. ცხოველთა კვების რაციონში ფართოდ იქნება გამოყენებული ქიმიური პრეპარატები: კარბამიდი, ამიაკის წყალი, ფოსფორიტები, ანტიბიოტიკები, საკვები საფუვრები, ვიტამინები და მიკროელემენტები.

ცხოველთა პროდუქტიულობის გადიდების მიზნით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ იწარმოებს მუძამბა აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მეთოდით პირუტყვის რძეულადობის გადიდებისათვის, ღორის, ცხვრის სამრეწველო შეჯვარება, სახორცე წიწილების — ბროილერების გამოზრდა.

სოფლის მეურნეობის ქიმიზაციისა და მექანიზაციაში. ყუბანის მშრომელები ახორციელებენ ოსოფლის მეურნეობის ქიმიზაციის დიდ პროგრამას, იცდებიან სწორად დაოაც შეიძლება მეტი სარგებლიანობით გამოიყენონ მინერალურ სასუქები, ჰერბიციდები, ქიმიკატები თესლის შესაწამლავად, მცენარეთა და პირუტყვის დაავადებებთან და მავნებლებთან საბრძოლველად, საკვებთა ქიმიური წანამატები და ქიმიის სხვა პროდუქტები.

კრასნოდარის მხარეში ფართო ფრონტით მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის მუშაკთა აგრარული სწავლა: აგროქიმიურ სწავლაში ჩაბმულია დაახლოებით 100 ათასი კაცი. კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, ბრიგადირები, საბჭოთა მეურნეობების გახაოფილებთა მმართველები, მეგრგლეურები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. ყველა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა აგროქიმია და ნიადაგმცოდნეობა შეისწავლა ყუბანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მოწყობილ სემინარებზე. თვითეულ საწარმოო სამმართველოში შექმნილია აგროქიმიის ლაბორატორიები, რომლებიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაეხმარებიან ღრმად შეისწავლონ ნიადაგები და სწორად განსაზღვრონ მინერალური და ორგანული სასუქების შეტანის დრო, დოზა და წესი.

თითოეულ მეურნეობას დასახული აქვს საკირო რაოდენობით გადაკეთოს და დაამზადოს მანქანები ნიადაგში სასუქის თაკის დროზე შესატანად, უზრუნველყოფილი იქნება აგრეთვე ყველა იმ თვითმფრინავის მინერალური სასუქით მექანიზებული დატვირთვა, რომლებიც მუშაობენ ნიადაგში მინერალური სასუქის შესატანად.

ყუბანის მექანიზატორები კიდევ უფრო ფართოდ დანერგავენ კომპლექსურ მექანიზაციას, ყველგან გამოიყენებენ წარმოებაში მოწინავე ტექნოლოგიას, ყანების დამუშავების ახალ ხერხებსა და მეთოდებს. სიმინდის, მზესუმზირასა და სხვა სათოხნი კულტურების დასათესად, აგრეთვე პურეულის მოსავლის ასაღებად ფართოდ გამოიყენებენ შეწყვილებულ და სამმაგ აგრეგატებს, გადიდებული სიჩქარის მანქანებს, თვითმავალ კომბაინებს, რომლებსაც აქვთ თავთავიანთა ღვარეულებად სამაკელი მანქანები, ნამჯასა და ბზეს აიღებენ ღვარეულების მოგროვებასა და გალეწვასთან ერთად. თითოეულ აგრეგატს, რომლებიც იმუშავებს სათოხნი, ტექნიკური და სხვა კულტურების მოსავლელად, ეკენის სამარგლავი ფარცხი, ან როტაციული თოხები.

1964 წელს მხარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამუშავდება „კარუსელის" ტიპის სულ ცოტა 40 კონვეიერულ-რგოლური საწველი დანადგარი და „ფეგენიფფერის" ტიპის 250 საწველი დანადგარი, კომპლექსურად მექანიზებულია მერძევეობა-მესაქონლეობის ფერმები, რომლებშიც 50 ათას სულზე მეტი ძროხა ყავთ, 100 სასუქებელი საღორე და სულ ცოტა 80 ფართოგაბარიტიანი საფრინველე.

* * *

მარცვლის, ტექნიკური კულტურების, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის მთელი მუშაობა იწარმოებს ისე, რომ დაცულ იქნება შრომის შედეგებით მუშათა მატერიალური დაინტერესების პრინციპი, სრულყოფილ იქნება შრომის ანაზღაურების სისტემა წარმოებული პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. ფართო გამოყენებას პოვებს შრომის ანაზღაურების აკორდულ-პრემიალური სისტემა.

ყუბანელი მეცნიერები დაუცხრომლად იმუშავებენ მაღალპროდუქტიული ჯიშის მარცვლეული და სხვა კულტურების გამოსაყვანად, დაეხმარებიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საწარმოო სამმართველოების სპეციალისტებს აგროქიმიური ლაბორატორიების მოწყობაში, რათა ფართოდ მოეწყოს ცდები უშუალოდ მეურნეობათა მინდვრებში, შეიმუშავებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვისა და ამოშრობილი მიწების ათვისების, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრისა და ღორის ჯიშების გაუმჯობესების, პირუტყვის სიბერწის ლიკვიდაციის რეკონმენდაციებს, უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთა ყველა მეცნიერი მუშაკი, მასწავლებელი აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სოფლის მეურნეობის მშრომელთა აგროეკონომიური სწავლის მოწყობაში.

მხარის კვების მრეწველობის მუშაკები კისრულობენ ვალდებულებას ვადამდე, 25 დეკემბრისათვის, შეასრულონ მთლიანი პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა და დამატებით აწარმოონ 8,4 ათასი ტონა შაქარი, 7 მილიონი პირობითი ქილა კონსერვი, ერთი მილიონი დეკალიტრი ღვინის მასალა, 3 ათასი ტონა მცენარეული ზეთი, შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება შეასრულონ 0,5 პროცენტის გადაჭარბებით, მიიღონ სულ ცოტა 6,5 მილიონი მანეთი ეკონომია.

მხარის სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაკები კისრულობენ ვალდებულებას სამეიგენლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 25 დეკემბრისათვის შეასრულონ, ააგონ 18 ათასი ჰექტარი ფართობის ახალი სარწყავი სისტემები და ამოაშრონ 60 ათასი ჰექტარი ლიბ-ლელიანი მიწები, გაიყვანონ 170 არტეზიული ჭაბურღილი და 250 კილომეტრი წყალსადენის ხაზი.

კისრულობენ რა დიდ და პასუხსაგებ ვალდებულებებს, ყუბანის სოფლის მეურნეობის მშრომელები ყუბანის მოეწოდებენ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს ჩაებნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, გაშალონ საყოველთაო-სახალხო ბრძოლა მარცვლის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ყველა დარგის ინტენსიფიკაციისათვის, იმისათვის, რომ შეიდწლედის მეოქვსი წელი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობის წლად გადაიქცეს.

ვალდებულებანი განხილული და მიღებულია კრასნოდარის მხარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, გადამწყვეტელი მრეწველობის საწარმოებში და სოფლის მეურნეობის კომუნისტური შრომის დამკვრელთა პირველ ყრილობაზე.

საერთაშორისო ჟურნალისტთა ორგანიზაცია

მშვიდობიანი მოწოდება

ასე ეხმაურება უცხოეთის პრესა ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, საბერძნეთისა და თურქეთის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებისადმი კვიპროსის საკითხზე

ბარიზი. ნ. ს. ხრუშჩოვის წერილმა დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობებისადმი, აგრეთვე საბერძნეთისა და თურქეთის მთავრობებისადმა საფრანგეთის საზოგადოებრიობის გაცხოველებული ინტერესი გამოიწვია. ყველა საგენტომ და ფილის გაზეთმა გამოაქვეყნა ცნობა საბჭოთა მთავრობის ახალი მშვიდობიანი მოწოდების შესახებ. პრესა განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს წერილის იმ ადგილებს, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირი გულგრილი ვერ დარჩება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში უცხო სახელმწიფოთა ჩარევისადმი და რომ ინტერვენცია, რომელსაც ინგლის-ამერიკა ამზადებენ, შეუთავსებელია არსებულ საერთაშორისო სამართალთან და კვიპროსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის პატივისცემასთან.

ნიუ-იორკი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილმა ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, თურქეთისა და საბერძნეთის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებისადმი დიდი ინტერესი გამოიწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს ახლა ყურადღებით სწავლობენ უშიშროების საბჭოს წევრები.

ათენი. საბერძნეთის საზოგადოებრიობა უდიდესი ინტერესით შეხვდა ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, საბერძნეთისა და თურქეთის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებისადმი კვიპროსის საკითხზე. ათენის ყველა ქილის გაზეთი ყველაზე თვალსაჩინო ადგილს ბეჭდავს ცნობას საბჭოთა მთავრობის ახალი მშვიდობიანი ინიციატივის შესახებ.

ნ. ს. ხრუშჩოვი მოითხოვს, რომ ნატო არ ერეოდეს კვიპროსის საქმეებში, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „აკროპოლისი".

იმ დროს, როცა ინგლისის მთავრობა კვლავ უძლიერეს ზეგავლენას ახდენს კვიპროსზე, რათა გამოგლიჯოს თანხმობა კვიპროსის ტერიტორიაზე ნატოს ჯარების ყოფნის შესახებ, საბჭოთა კავშირი დასავლეთის სახელმწიფოებს აფრთხილებს, თავი დაანებონ კუნძულს და საშუალება მისცენ მის ხალხს თავისი სუვერენულობებრ გადაწყვიტოს საკუთარი საქმე, წერს გაზეთი „ელეფთერია".

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა კვლავ აშკარად დაანახვა ყველას, რომ იგი სოლიდარობას უცხადებს კვიპროსის რესპუბლიკას, ხაზგასმით აღნიშნავს „ავგი".

თითოეული ბერძენი, თავისი პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად, არ შეიძლება მადლობელი არ იყოს საბჭოთა კავშირისა კვიპროსის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად გადადგმული ახალი კეთილშობილური ნაბიჯის გამო, განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან ინტერვიუში ბალკანეთის ქვეყნების თანამშრომლობისათვის მოძრაობის საბერძნეთის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. მერკურისმა, რომელმაც განმარტა ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი.

დელი. „პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საქმე" — ასეთი სათაურით გადმოსცეს ინდოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა ცნობა იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა წერილი გაუგზავნა ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, თურქეთისა და საბერძნეთის მთავრობათა მეთაურებს, რომელშიც გამოთქმულია სერიოზული შეშფოთება ხმელთაშუა ზღვაში დაძაბულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარემ დივან ჩამან ლალმა საკდესის კორესპონდენტთან ინტერვიუში განმარტა ვითარება, რომელიც კვიპროსში შეიქმნა, და განაცხადა:

„ვფიქრობ, რომ მშვიდობის ყველა მომხრე იზიარებს პრემიერ-მინისტრ ნ. ს. ხრუშჩოვის შეშფოთებას კვიპროსში შექმნილი ვითარების გამო.

ტუნისი. ყველა ადგილობრივი გაზეთი როგორც ყველაზე დიდმნიშვნელოვან ახალ ამბავს პირველ გვერდებზე და დიდი სათაურებით აქვეყნებს ცნობას კვიპროსის საკითხზე ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის შესახებ.

„სსრ კავშირი ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოს მოუწოდებს პატივი სცეს კვიპროსის რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას და მოითხოვს თავი შეიკავონ ყოველგვარი მოქმედებისაგან, რომელიც გაართულებს მდგომარეობას ხმელთაშუა ზღვის აუზში", — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „პტი მატენი".

ალჟირი. ალჟირის გაზეთები თვალსაჩინო ადგილებზე დიდი სათაურებით აქვეყნებენ ცნობას ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის შესახებ. გაზეთი „პეპლი" ამ მასალას აქვეყნებს სათაურით: „სსრ კავშირი გულგრილი ვერ დარჩება კვიპროსის ამბების მიმართ, — აცხადებს ხრუშჩოვი".

ვენა. ვენის გაზეთები თვალსაჩინო ადგილებზე აქვეყნებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის შინაარსს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, საბერძნეთისა და თურქეთის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებისადმი კვიპროსში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ბონი. „ეს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბომბი, — ასეთია ოფიციალური სტატისტიკა.

□ ამერიკის კასლის სამხედროსაჰაერო ბაზის რეაქტიული ბომბდამშენი „ბ-52" დაიმსხვრა ქალაქ ფრესნოს მახლობლად (კალიფორნია). თვითმფრინავის ეკიპაჟის შვიდი წევრი გადარჩა — ისინი პარაშუტებით გადმოხტნენ.

საერთაშორისო ჟურნალისტთა ორგანიზაცია
ДЕЙСТВУЙТЕ, ТОВАРИЩИ, ВМЕСТЕ!
СОЮЗ ЖУРНАЛИСТОВ

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი მაკმილანს გადაეცა

ნიკოზია, 8 თებერვალი. (საკდესი). სსრ კავშირის ელჩი კვიპროსში პ. კ. ერმოშინი გუშინ კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტს არქიეპისკოპოს მაკარიოსს ეწვია და გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის ასლი კვიპროსის საკითხზე, რომელიც ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, თურქეთისა და საბერძნეთის მთავრობებს გაეგზავნა.

კლერიდისის განცხადება

ლონდონი, 8 თებერვალი. (საკდესი). კვიპროსის ბერძენთა თემის დელეგაცია, რომელიც კვიპროსის საკითხზე ლონდონის კონფერენციაში მონაწილეობდა, დღეს ლონდონიდან სამშობლოში გაფრინდა. დელეგაციის მეთაურმა — წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარემ კლერიდისმა აეროდრომზე განაცხადა: „მაკარიოსი, რომ ლონდონის კონფერენციაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეკი თბილმის სამი ვერია გრძელდება, საფუძველი ვერ შეეიქმნით პოლიტიკური სფეროში შეთანხმებას. „ჩვენი დელეგაციის პოზიცია ნათელია, — განაცხადა კლერიდისმა, — ჩვენ გვსურს დამოუკიდებელი და ერთიანი კვიპროსი, ხოლო თურქებს მისი ფიზიკური გაყოფა სურთ".

კლერიდისმა განმარტა ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი კვიპროსის საკითხზე და როგორც პრეს-ასოშიეიშნის საგენტო იუწყება, განაცხადა: „რუსები ინტერესს იჩენენ იმის მიმართ, თუ რა ხდება კვიპროსში, და მე მიმაჩნია, რომ ეს გაიერნას მოახდენს კვიპროსის პრობლემის გადაჭრაზე".

„თოლია" შექსპირის სამშობლოში

სტრატფორდ-ონ-ეიონი, 9 თებერვალი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ე. კორუეი გვატყობინებს:

„უილიამ შექსპირს — ინგლისელი ხალხის გენიოსს ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვასგან" — ასეთი წარწერა ჰკონდა ყვავილების თაიგულს, რომლითაც შეამკო დღეს დიდი დრამატურგის საფლავი კოსმოსის გმირმა.

იმ სახლის დათვალიერებისას, სადაც შექსპირი დაიბადა, ორგანიზაცია „შექსპირის ფონდის" დირექტორმა ფოქსმა ჩუფამ „ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ თქვენ სტრატფორდში ჩამოხვედით, როცა შექსპირის დაბადების 400 წლისთავი აღინიშნება".

ქალაქის რატუშაში ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვას პატივსაცემად გამართულ დარბაზობაზე ქალაქ სტრატფორდის მერმა ს. კემმმა მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ქალის სადღეგრძელო წარმოსთქვა და ჯანმრთელობა და შემდგომი წარმატებანი უსურვა მას. „თქვენი გმირობით, თქვა მან, თქვენ უარყავით შექსპირის ერთ-ერთი მოსწრებული გამოთქმა: „ჭარაობა, დედაკაცი უნდა გერქვას შენ".

ქალაქის დათვალიერების შემდეგ ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა და მისი თანმხლები პირნი ლონდონს დაბრუნდნენ.

ლონდონი, 10 თებერვალი (საკდესი). ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა, რომელიც ინგლისში იმყოფებოდა ბრიტანეთის საპარლიამენტათშორისო ფრენის საზოგადოების მოწვევით, დღეს საშობლოში გაფრინდა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია ქენევიდან გაემგზავრა

ჟენევა, 10 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ჟენევიდან სამშობლოში გაემგზავრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გეორგ შტიბი და მისი თანმხლები პირნი.

ჟენევაში 8 დღის ყოფნის დროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი შეხვედრები და საუბრები ჰქონდა აქ დაბინავებული საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელ მოღვაწეებთან.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ეწვია აგრეთვე სსრ კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ბულგარეთის, ეთიოპიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ბირმის, ნიგერიის, ინდოეთის, წარმომადგენლებს 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს ამ კომიტეტში. ამ შეხვედრათა მსვლელობაში, რომლებიც ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, განხილული იყო განიარაღების კომიტეტის მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები.

18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის ერთ-ერთ თანამთავმჯდომარეს — სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურს ს. კ. ცარაპკინს გეორგ შტიბმ გადასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტისადმი, აგრეთვე პროექტი ხელშეკრულებისა, რომლის თანახმად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობები საესებით უარს იტყვიან ატომურ იარაღზე.

„ოლიმპიელთა სტუმარი"

ინსბრუკი, 9 თებერვალი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კოსმონავტი პ. პოპოვიჩი საბჭოთა სპორტსმენების ძვირფასი სტუმარი იყო.

წინა დღეს კოსმონავტმა-4-მა დაათვალიერა ოლიმპიადის სპორტული ნაგებობანი, დაესწრო სსრ კავშირისა და კანადის ჰოკეისტთა შეხვედრას, და ჩვენი ჰოკეისტების შესანიშნავი გამარჯვების მოწმე გახდა.

და აი კოსმოსის გმირმა მიულოცა ოლიმპიადის გმირებს. „სპორტის დამსახურებული ოსტატის" სამკერდე ნიშნები და დიპლომები გადასცა ჰოკეისტებს კ. ლოკერევს, ა. ფილიპოვს, ლ. ვოლკოვს, ბ. ზაიცევს.

ამის შემდეგ პ. პოპოვიჩი იყო ბერგიზელის სტადიონზე, სადაც ტრამპლინიდან მხტომელთა შეჯიბრება მიმდინარეობდა, ხოლო ნაშუადღევს ტროლის მხარის ავსტრია-სსრ კავშირის საზოგადოებაში მოხსენება გააკეთა თემაზე „ჯაფუფური გაფრენა კოსმოსში".

საღამოს საბჭოთა კოსმონავტი IX ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის დახურვის საზეიმო ცერემონიას დაესწრო.

„ბოლიკა" ბოლოს

ბერლინი, 9 თებერვალი. (საკდესი). ბერლინის ზოოლოგიურ ბაღში ბოლიკა ბოლოს ბოლოს ბოლიკა ბოლიკა ბოლიკა

საბჭოთა სპორტის ტრიუმფი

ჩვენს ოლიმპიურ გუნდს მედლების რეკორდული რაოდენობა აქვს — 25!

საბჭოთა ჰოკეისტები — ოლიმპიადის, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები

ძლევის ფინიში

ინსბრუკი, 9 თებერვალი. („პრავდის“ სპეც. კორ.). დღეს თეთრ ოლიმპიადის ფინიში ჰქონდა. საერთაშორისო სასპორტო არენაზე ტიროლის ალპებში ზეიმობდა ოლიმპიური მეგობრობა, იმარჯვებდა ამხანაგობის, ურთიერთგაგების სულისკვეთება. ეს, ვფიქრობთ, უველაზე ძვირფასი ჭილდოა ყველა იმათთვის, ვინც ყინულის მოედნებზე და სათხილამურო ტრასებზე თავისი მიღწევებით შეძლებისდაგვარი წვლილი შეიტანა მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის შემდგომ განვითარებაში.

ოლიმპიური ასპარეზობის დახურვის დღეს წინ უძღოდა მთავარი ოლიმპიური ტურნირის ბრძოლები ჰოკეიში. საბჭოთა გუნდმა გუშინ ძნელი მატჩი მოუგო კანადის ნაკრებს ანგარიშით 3:2 და ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონი გახდა. თამაში ძლიერ დაძაბულად მიმდინარეობდა. იგი ურთიერთ იერიშებით დაიწყო. ჩვენები რამდენიმე წუთს უტევდნენ მოწინააღმდეგეთა კარს, რასაც შემდეგ მოპაყავა კანადელთა მოულოდნელი გარღვევა მეექვსე წუთზე, და ანგარიში გახდა 1:0 მათ სასარგებლოდ.

მეორე პერიოდი. საბჭოთა სპორტსმენების მძაფრი იერიში. ისინი დიდხანს ვერ ახერხებენ ანგარიშის გახსნას. ბოლოს, კანადელთა კარის 11-წუთიანი თითქმის განუწყვეტელი იერიშის შემდეგ ევგენი მაიოროვმა შეაგდო შაბა. მაგრამ ოთხი წუთის შემდეგ კანადელებმა მეორე შაიბა გაიტანეს.

მეორე პერიოდის დამთავრებამდე ორი წუთის წინ ვიაჩესლავ სტარშინოვმა მეორე შაიბით უპასუხა. მესამე პერიოდის დასაწყისში კი ბენიამინ ალექსანდროვმა ალექსანდრე ალმეტოვის მიწოდებით კიდევ ერთი შაიბა შეაგდო — 3:2! ეს ის ოქროს შაიბა იყო, რომელმაც გადამწყვეტი გამარჯვება მოგვიტანა.

თამაშის უკანასკნელი წამებია. სირენა იუწყება, რომ მატჩი დამთავრებულია, რომ საბჭოთა გუნდმა, რომელმაც შვიდივე მატჩი მოიგო, ამ გადამწყვეტ ორთაბრძოლაშიც გაიმარჯვა, რომ ჩვენს ჰოკეისტებს 14 ქულა აქვთ თოთხმეტი შესაძლებლიდან, რომ მათ გაიტანეს ყველაზე მეტი შაიბა — 54 და თავიანთ კარში გაუშვეს ყველაზე ნაკლები — 10. ჩვენი ბიჭები ჩოგნებს მაღლა ისვრიან, აქანავებენ ყინულის მოედანზე გასულ მწვრთნელებს ჩერნიშევსა და ტარასოვს. მათ უერთდება საბჭოთა კოსმონავტი პავლე პოპოვიჩი. მათ ფოტოსურათებს ულებს ათობით კორესპონდენტი.

ჩვენ მაგრად ვართმევთ ხელს უფროს მწვრთნელს არკადი ჩერნიშევს, ვუულოცავთ შესანიშნავ მთავარ გამარჯვებას.

— რა გსურთ გადასცეთ „პრავდის“ მკითხველებს?

— გთხოვთ გადასცეთ „პრავდის“ მეშვეობით ყველა ჩვენს ამხანაგსა და მეგობარს, რომ ჩვენ უსაზღვროდ გამაყოფთ და ბედნიერი ვარ მოპოვებული გამარჯვებით. ძალიან გვიხარია, რომ შევძელით ოლიმპიურ ასპარეზობაზე გაგვემართლებინა ხალხისა და ჩვენი მშობლიური პარტიის მაღალი ნდობა.

გვიან საღამოს დამთავრდა ჰოკეის ტურნირის უკანასკნელი მატჩი ჩეხოსლოვაკია-შვეიცია. ანგარიშით 8:3 მოიგო შვეიციის გუნდმა.

შემდეგ საზეიმოდ გადაეცათ ოქროს მედლები ოლიმპიური ასპარეზობის, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს — სსრ კავშირის გუნდს, ვერცხლის მედლები — შვეიცის გუნდს, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა, და ბრინჯაოს მედლები — ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტებს, რომლებმაც მესამე ადგილი მოიპოვეს. აისსტადიონზე გაისმის საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

ჩვენი ჰოკეისტების გამარჯვება საბჭოთა ოლიმპიელების მე-11 ოქროს მედალია. ჩვიდმეტმა საბჭოთა ჰოკეისტმა, რომლებიც ოლიმპიადის, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები გახდნენ, 51 ოქროს მედალი მიიღო.

ოლიმპიადის დახურვის საზეიმო ცერემონია დაიწყო დღეს საღამოს ზამთრის მთავარ ოლიმპიურ სტადიონზე. საპატიო სტუმრებს შორის არის ავსტრიის პრეზიდენტი ა. შერფი. აქვეა ინსბრუკის ბურგომისტრი ა. ლუგერი, რომელმაც ოთხი წლით შესანახად ჩაბარა ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის დროშა.

სტადიონის არენაზე ერთიმეორის მიყოლებით გამოდიან 36 ქვეყნის გუნდები.

მქუხარე ტაში, აღტაცების შეძახილები, მისალმება ისმის ხალხით სავსე ტრიბუნებიდან გამარჯვებულის — საბჭოთა ოლიმპიელების მისამართით. ჩვენს ჩემპიონებს უკვე პირადად იცნობენ, ბევრი მაყურებელი მათი ავტოგრაფების ბედნიერი მფლობელი გახდა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ე. ბრუნდეჯი საპატიო ესკორტის თანხლებით ტრიბუნისაკენ მიემართება. სტადიონზე გაისმის საბერძნეთის ჰიმნის მელოდია, და ფლაგშტოკზე ფრიალებს ოლიმპიადების სამშობლოს დროშა. შემდეგ ორკესტრი უკრავს ავსტრიის ჰიმნს, და საბერძნეთის ალმის გვერდით, მეზობელ ფლაგშტოკზე გაიშალა ავსტრიის — ზამთრის მეცხრე თეთრი ოლიმპიადის ქვეყნის ალამი. შემდეგ გაისმის მარსელიოზა, და მესამე ალამი — ზამთრის X ოლიმპიური ასპარეზობის ქვეყნის — საფრანგეთის წითელ-თეთრ-ლურჯი დროშა აღიმართა სტადიონზე.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ზამთრის მეცხრე ოლიმპიურ ასპარეზობას დახურულად აცხადებს. გაისმის ფანფარების ხმა, და არენაზე შედიან ახალგაზრდა ასპარეზობის ჩემპიონები. 8 სპორტსმენი იბარებს ოლიმპიურ დროშას, რომელიც ზემით დაუშვეს ფლაგშტოკიდან რიბარდ შტრაუსის ოლიმპიური ჰიმნის ბანგებში. გაშლილი დროშა ნელა გააქვთ სტადიონიდან სამხრეთი კარით. და ამ დროს ოლიმპიური ცეცხლი, რომელიც ფოლადის თასებში ენთო იზელის მთაზე ოლიმპიური სტადიონის წინ, ნელა ქრება. გრიალებს ხუთგზისი საარტილერიო სალუტი.

სპორტსმენები სტადიონის არენას ტოვებენ. წინ ახალი შეჯიბრებებია, წინ ტოკიო.

ვ. ერმაკოვი,
ვ. მენშიკოვი.



ფოტოკორესპონდენტი

თვალუწვდენი საბჭოთა ქვეყნის სულ სხვადასხვა კუთხეში შეხვედებით ბლოკნოტითა და ფოტოაპარატით აღჭურვილ ამ დაუდეგარ ადამიანს — იგი გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტია — ვასილ პესკოვი. სულ ახლახან დაბრუნდა იგი ანტარქტიდიდან. ზემო სურათზე მას ხედავთ ანტარქტიდელ „ამორიგენებთან“ პინგვინებთან ერთად.

ვ. პესკოვი ძალიან ბევრ სურათს იღებს — მისი ფოტოსურათები გამოირჩევა სიახლით, უშუალობითა და საინტერესო კომპოზიციით.

ნიჭიერი ფოტოკორესპონდენტის წიგნი „ნაბიჯები ცვარში“ დასახელებულია ჟურნალისტიკის დარგში 1964 წლის ლენინური პრემიის მოსაპოვებლად. წიგნში თავმოყრილია რეპორტაჟები, ნარკვევები, ლირიკული მინიატიურები, ფოტომოთხრობები.

თავისი შემოქმედებით ვ. პესკოვი ადიდებს შრომის ადამიანებს, უმღერის ჩვენი სამშობლოს თვალწარმტაც ბუნებას.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის რადიოელექტრონმიფულ სადგურში მწყობრში ჩადგა მსოფლიოში ყველაზე დიდი, გიგანტი რადიოტელესკოპის პირველი რიგი. ახლა ინსტიტუტის რადიოელექტრონიკების გამგებლობაშია ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო რადიოტელესკოპი. სანტიმეტრიანი ტალღებისათვის მბრუნავი სარკით, რომლის დიამეტრი 22 მეტრია.

ამას წინათ მწყობრში ჩადგა აგრეთვე მერიდიანული ჯვრის მსგავსი რადიოტელესკოპის პირველი რიგი. ჯვრის მსგავსი მას იმიტომ ეწოდება, რომ მაღლიდან იგი ჯვრის სახით წარმოგვიდგება, მისი ერთი მხარი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ არის გაწვდილი.

წლის ბოლოსათვის მწყობრში ჩადგება გიგანტი ტელესკოპის მეორე მხარეც, რომელიც გაწვდილი იქნება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ეს შესაძლებლობას მოგვცემს მივიღოთ იმ კოსმოსური ობიექტების რადიოგამოსხივებანი, რომლებიც ჩვენგან მილიარდობით სინათლის წელიწადით არიან დაშორებული.

ახლა აქ დაწყებულია მზეზე დაკვირვება. გამოკვლევის შედეგები საბჭოთა მეცნიერების წვლილი იქნება წყნარი მზის საერთაშორისო წლის სამუშაოთა საერთო პროგრამაში. ქვემოსურათზე თქვენ ხედავთ სანტიმეტრიანი ტალღების 22-მეტრიან რადიოტელესკოპს.

ფოტოკორესპონდენტი

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲛᲐᲘᲡᲨᲘ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის თასზე ორ მეოთხედფინალურ მატჩში უნდა შეხვდეს შვეიციის გუნდს. სსრ კავშირისა და შვეიციის ფეხბურთის ფედერაციები საბოლოოდ შეთანხმდნენ შეხვედრათა კალენდარზე. პირველი მატჩი გაიმართება სტოკჰოლმში 13 მაისს, მეორე — მოსკოვში 27 მაისს.

ᲛᲔᲮᲘᲞᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

მეხიკო, 10 თებერვალი. (საკდესი). მოსკოვის კლუბების ნაკრების ფეხბურთელებმა ფრედ — 1:1 დაამთავრეს შეხვედრა იუგოსლავიის „პარტიზანთან“ და ბოლო მატჩის მიუხედავად, რომელიც 13 თებერვალს გაიმართება ბრაზილიის „სან-პაულოს“ გუნდთან, გამარჯვება მოიპოვეს მექსიკის საერთაშორისო ტურნირში.

ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲗᲮᲠᲔᲑᲘ ᲣᲤᲚᲘᲡᲪᲘᲡᲔᲨᲘ

ᲛᲝᲠᲘᲒᲘ მსოფლიო ჩემპიონატი ჩქაროსნულ ციგურაობაში ქალთათვის გაიმართა 15 და 16 თებერვალს შვეიციაში. ჩვენი მოციგურავეები ლ. სკობლიკოვას, ი. ეგოროვას, კ. ხესტეროვას, ვ. სტენინას, ბ. კოლოკოლცევას და თ. რილოვას შემადგენლობით სტოკჰოლმში ხვალ გაფრინდებიან.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲝᲠᲕᲚᲘᲐᲜ ᲒᲘᲚᲘᲙᲔᲑᲖᲔ

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘ, 10 თებერვალი (საქდესი). ოთხ დღეს გაგრძელდა საქართველოს ოცდამეექვსე პირველობა სათხილამურო სპორტში. მონაწილეობდა ათი გუნდი. თბილისელმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს ამანათრნენში, ტრამპლინიდან ხტომაში და პირველი ადგილი მოიპოვეს. მეორე ადგილზე გამოვდნენ ბორჯომის წარმომადგენლები. მესამეზე — თბილისის მეორე გუნდი.

რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ: ნ. კოზანაშვილი (რბოლა 15 და 30 კილომეტრზე), ზ. გულბანი (რბოლა 50 კილომეტრზე), ე. გავა (რბოლა 10 კილომეტრზე), ფ. ოსიპოვა (რბოლა 5 კილომეტრზე), ე. თვაური (ორეიდი), მ. გავა (ტრამპლინიდან ხტომა), გ. აბრამაშვილი და ნ. ომიძე (ალპური სამჭიდი).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲘ

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲣᲠ ᲒᲣᲜᲓᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲣᲚᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ — 25!

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲰᲝᲙᲔᲘᲡᲢᲔᲑᲘ — ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲐᲓᲘᲡ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲥᲣᲚᲔᲑᲘ

ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ IX ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲐᲠᲐᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

	ოქროს	ვერცხ.	ბრინჯ.	ქულა
სსრ კავშირი	11	8	6	162
ნორვეგია	3	6	6	89,5
გერმ. გაერთ. გუნდი	3	3	3	80
ავსტრია	4	5	3	78
ფინეთი	3	4	3	68
შვეიცია	3	3	1	60
საფრანგეთი	3	4	—	52,5
აშშ	1	2	3	46,5
იტალია	—	1	3	23,5
კანადა	1	—	2	21
ჰოლანდია	1	1	—	15
ჩეხოსლოვაკია	—	—	1	12
პოლონეთი	—	—	—	8,5
შვეიცარია	—	—	—	8
კორეის სახ.-დემ. რესპუბლიკა	—	—	—	7,5
ინგლისი	1	—	—	7
იაპონია	—	—	—	5
რუმინეთი	—	—	—	2
ბულგარეთი	—	—	—	2

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

ᲓᲘᲓᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲢᲐᲠᲐᲡ ᲨᲔᲕᲩᲘᲜᲙᲝᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 150 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

მიმდინარე წლის მარტში სრულდება 150 წელი უკრაინელი ხალხის დიდი შვილის, პოეტი-რევოლუციონერის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მგზნებარე მომღერლის ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკოს დაბადებიდან.

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს.

რესპუბლიკაში გაიშალა მზადება იუბილესათვის. გაიმართა საიუბილეო კომისიის სხდომა, კომისიის შემადგენლობაში არიან ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწეები, პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაკები. საიუბილეო კომისიის თავმჯდომარეა პოეტი ს. ჩიქოვანი.

საქდესის კორესპონდენტთან საუბარში საიუბილეო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა კრიტიკოსმა ბ. ჟღენტმა თქვა:

— ჩვენი რესპუბლიკის მშრომელი ეროვნის ულრმესი პატივის ცემენტ დიდი კობზარის ხსოვნას. პოეტი-დემოკრატის შემოქმედება მახლობელი და ძვირფასია ქართველი მკითხველისათვის. პოეზიის მოყვარულები ხაიუბილეოდ მიიღებენ კარგ საჩუქარს — ლექსების კრებულს „ქართველი მწერლები — შევჩენკოს“, აგრეთვე ვ. იმედაძის ნაშრომს „ტარას შევჩენკო და ქართული კულტურის მოღვაწენი“. ამ წიგნებს გამოუშვებს გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ გამოსცემს ტარას შევჩენკოს რჩეულ ნაწარმოებთა კრებულს და მის მოთხრობას „მხატვარი“. შესანიშნავი პოეტის ცხოვრებას, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას მიეძღვნება ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის თ. ბუაჩიძის წიგნი, რომელსაც უშვებს სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“.

წინა საიუბილეო დღეებში საქართველოს მწერალთა კავშირი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი მოაწყობენ ერთობლივ სამეცნიერო სესიას, საზოგადოება „ცოდნა“ პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გამართავს მოხსენებებისა და საუბრების ციკლს რესპუბლიკის საწარმოებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სკოლებში მოგზაურობა შევჩენკოსადმი მიძღვნილი ღონეები.

საზეიმო წადამო გაიმართება აგრეთვე სამხატვრო აკადემიაში, სადაც გამოფენილი იქნება ტარას შევჩენკოს სურათების რეპროდუქციები.

საქართველოს რადიო და ტელევიზია შევჩენკოს 150 წლისთავს სპეციალურ გადაცემებს მიუძღვნის.

ამ თარიღს ფართოდ აღნიშნავენ აგრეთვე აფხაზეთის მწერალთა კავშირი, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის, სამხრეთოსეთისა და ქუთაისის განყოფილებები.

1964 წლის 9 მარტს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება საზეიმო საიუბილეო საღამო.

ბიბლიოთეკებში, კულტურის სასახლეებსა და კლუბებში მოეწყობა პოეტი-დემოკრატის შემოქმედებით მოღვაწეობისადმი მიძღვნილი წიგნებისა და ილუსტრაციების გამოფენები. (საქდესი).



ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ. (საკ. კორ.). რაიონის მოსწავლეებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. ამ დღეებში სოფელ დიმში საექსპლოატაციოდ გადაეცა სამუშაო სკოლის სამსართულიანი შენობა. დაბა მაიაოვსკში ე. ნინოშვილის სახელობის სამუშაო სკოლას მიაშენეს 12 საკლასო ოთახი და სასპორტო დარბაზი.

ამჟამად აღნიშნული სკოლების მოსწავლეები ერთ ცვლად მეცადინეობენ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ... ᲙᲚᲓᲔᲨᲘ

• ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲛᲐ •

ᲝᲗᲮᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜᲘ ᲢᲠᲐᲛ�პᲚᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲮᲢᲝᲛᲐ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲐᲙᲝᲠᲓᲘ ᲘᲧᲝ. ᲝᲥᲠᲘᲡ ᲛᲔᲓᲚᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲰᲝᲙᲔᲘᲡᲢᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘ ᲖᲘᲛᲘᲜᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲘ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲠᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ